

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის

ბრძანება №1-1/211

2020 წლის 9 ივნისი

ქ. თბილისი

„საქართველოში მეზღვაურთა გადაადგილებისას ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით ეპიდემიოლოგიური კონტროლისა და კარანტინის წესების“ დამტკიცების შესახებ „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებით დამტკიცებული „იზოლაციისა და კარანტინის წესების“ მე-2 მუხლის მე-8<sup>1</sup> პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

**მუხლი 1**

დამტკიცდეს თანდართული „საქართველოში მეზღვაურთა გადაადგილებისას ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით ეპიდემიოლოგიური კონტროლისა და კარანტინის წესები.“

**მუხლი 2**

ბრძანება ამოქმედდეს 2020 წლის 15 ივნისიდან.

საქართველოს ეკონომიკისა და  
მდგრადი განვითარების მინისტრი

ნათელა თურნავა

